ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302528684**
თარიღი: **13/10/2025**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2025 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით კერძოდ:

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 27 აგვისტოს N1424 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 2360832 ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის (კერძო სახლების) კომპენსაციის გაცემის მიზნით.

საქართველოს მთავრობის N1207 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 298249 ლარი „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად.

აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მიზანშეწონილია ცვლილებაზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2025 წლის ოქტომბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2025 წლის ------- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 599 266 130).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი 01.01.2025, სარ. კოდი: 190020020.35.112.016503) შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე–10 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე–11 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე–12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2024-2027 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე–13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბესიკ ტაბიძე